

# ნიტრატი, ნიტრიტი და ამიაკი

თუ თქვენს წყალში ნაპოვნია ნიტრატის ან ამიაკის მაღალი შემადგენლობა, ეს ნიშნავს, რომ თქვენს წყალზე ზემოქმედებს აზოტის ნაერთების გაჟონვა, რომლებიც წარმოიქმნება დიდი რაოდენობით სასუქის ან ნაკელის გამოყენებით ბოსტანში ან სოფლის მეურნეობაში, ან გამდინარე ნარჩენი წყლებიდან, საქონლის ნაკელიდან, ნაკელის გროვიდან, ან ჩეჩმიდან. სასმელ წყალში ნიტრატის დაშვებული ნორმაა 50 მგ/ლ, 0,5 მგ/ლ ნაკლები ნიტრიტი და 0.5 მგ/ლ ნაკლები ამიაკი.



წყალში ნიტრატისა და ნიტრიტის მაღალი შემადგენლობა შესაძლოა საშიში იყოს ჩვილებისთვის. ნიტრატმა და ნიტრიტმა შეიძლება გამოიწვიონ ე.წ. ცისფერი ბავშვის დაავადება. ამდენად, ფრთხილად იყავი ბავშვის გამოკვებისას რძე ან სხვა სასმელი არ ყოს ნიტრატით ან ნიტრიტით დაბინძურებული წყლით გამზადებული. ადულტენა ან გაყინვა არ ამცირებს ნიტრატის კონცენტრაციას წყალში!

იმ შემთხვევაშიც, როცა წყალში ნიტრატის, ნიტრიტის ან/და ამიაკის შემადგენლობა არ არის ან დაბალია, ეს არ ნიშნავს, რომ წყალი უსაფრთხოა სასმელად! ბაქტერიის ანალიზს შეუძლია მეტი ინფორმაცია მოგცეთ უსაფრთხოებაზე.

მეტი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: წყლისა და სანიტარიის ხამისკურის რესურსცენტრს: სამუშაო საათები: 10.00 – 18.00 ტელეფონი: 568 54 45 52

ევროპის ქალები საერთო მომავლისათვის (WECF)

საკონტაქტო პირი:  
Claudia Wendland  
claudia.wendland@wecf.eu  
WECF The Netherlands  
PO Box 13047  
3507 LA, Utrecht  
The Netherlands  
Tel: +31 - 30 - 23 10 300  
Fax: +31 - 30 - 23 40 878  
www.wecf.eu



სოფლად თემთა განვითარების სააგენტო (RCDA)

მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი მისაქციელი.  
ტელ: +995 593 17 17 72  
ელ. ფოსტა: rcda@rcda.ge  
www.rcda.ge



RURAL COMMUNITIES DEVELOPMENT AGENCY



Ministry of Foreign Affairs of the Netherlands



Do not drink water that have high concentration of Nitrates or Nitrites

ყველაზე მნიშვნელოვანი ბაქტერია და ქიმიური ნივთიერებები, რომლის ანალიზიც უნდა ჩაუტარდეს ხობის მუნიციპალიტეტის სასმელ წყალს

## ბაქტერია: ეშერეცია კოლი (E. coli)

თუ თქვენს სასმელ წყალში არის E. coli ბაქტერია, ეს ნიშნავს, რომ წყალი დაბინძურებულია ბაქტერიით, რომელიც წარმოიშობა ადამიანის ექსკრემენტებისგან და წყალი არ არის უსაფრთხო სასმელად. ბავშვებისთვის და ჩვილებისთვის დასაღვევი წყალი უნდა ადუღდეს, მაგრამ მიზანშეწონილია ყველა მომხმარებლისთვის ადუღებული წყლის დაღვევა. 100 მგ წყალში არც ერთი ცალი E. Coli არ არის დასაშვები.



## კოლიფორმული ბაქტერიების მთლიანი შემადგებლობა

თუ თქვენს წყალში არის კოლიფორმული ბაქტერიების მთლიანი შემადგენლობა, ეს ნიშნავს, რომ წყალი დაბინძურებულია ადამიანის ან ცხოველის ექსკრემენტებით ან ნიადაგით. შესაძლოა, არსებული ბაქტერია არ იწვევს ჯანმრთელობის რისკებს, მაგრამ არ არსებობს არანაირი გარანტია, რომ წყალი დასაღვევად უსაფრთხოა.



ბავშვებისთვის და ჩვილებისთვის დასაღვევი წყალი უნდა ადუღდეს, მაგრამ მიზანშეწონილია ყველა მომხმარებლისთვის ადუღებული წყლის დაღვევა. 100 მგ წყალში კოლიფორმული ბაქტერიები არ არის დასაშვები.

## სუფთა ქლორი და შეკრული ქლორი

ხშირად, ცენტრალური წყალმომარაგებით მიღებული წყალი საჭიროებს დეზინფექციის პროცედურას. კერძოდ, იმ შემთხვევებში, როცა წყალი მიიღება მდინარეებიდან და ტბებიდან, დაცული წყლის რესურსებიდან ან იმ შემთხვევაში, როცა წყლის მიწოდება ხდება ცუდად მოვლილი რეზერვუარიდან ან მილებით. ზოგიერთი ქვეყანა ავალდებულებს წყლის მოწოდებლებს დეზინფექცია ჩაუტაროს წყლის ცენტრალურ მილებს. ყველაზე მიღებული დეზინფექციის მეთოდია წყალში ქლორის დამატება. ეფექტური დეზინფექციისთვის, რათა მოკვდეს ბაქტერია, იმ მოწოდების წერტილიდან საბოლოო მომხმარებლამდე, (სუფთა) ქლორის შემადგენლობა უნდა იყოს 0.2-დან 0.5 მგ/ლ.

თუმცა ქლორიანი წყლის შენახვისა და განაწილების დროს ქლორის ნარჩენი შეიძლება შემცირდეს, მაშინ როცა ქლორი მიბმულია ზოგიერთ ორგანულ ნივთიერებაზე წყალში. რაც უფრო მეტ მინარევს შეიცავს წყალი, მით უფრო მეტი შერეული ქლორი აღმოჩნდება მასში და ზეგავლენას მოახდენს წყლის გემოზე.